



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ93. 9322360001

თარიღი:26/12/2022

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ფულადი ჯილდოს განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის და მე-17 მუხლის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშო შესრულებისათვის, კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, გაიცეს ფულადი ჯილდო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე,დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების ფინანსურ ნაწილზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

